სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №06

2011 წ. 01 იანვარი

ქ. თბილისი

საგრანტო კონკურსის - ,,სახელმწიფო გრანტი მსოფლიოს წამყვან კვლევით ცენტრებში საერთო კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებისა და შემდგომში ამ პროგრამების საქართველოში გადმოტანის მიზნით" გამოცხადებისა და მისი პირობების დამტკიცების შესახებ

,,მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, ,,საგრანტო კონკურსის - ,,სახელმწიფო გრანტი მსოფლიოს წამყვან კვლევით ცენტრებში საერთო კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებისა და შემდგომში ამ პროგრამების საქართველოში გადმოტანის მიზნით" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №30 დადგენილებისა და "სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს საგრანტო კონკურსი ,,სახელმწიფო გრანტი მსოფლიოს წამყვან კვლევით ცენტრებში საერთო კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებისა და შემდგომში ამ პროგრამების საქართველოში გადმოტანის მიზნით" 2011 წლის პირველ თებერვალს.

2. საკონკურსო განაცხადების სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2011 წლის პირველი მარტი, 18:00 საათი.
3. დამტკიცდეს „სახელმწიფო გრანტი მსოფლიოს წამყვან კვლევით ცენტრებში საერთო კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებისა და შემდგომში ამ პროგრამების საქართველოში გადმოტანის მიზნით“ საგრანტო კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
4. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძე) წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გაცნობისათვის განთავსება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური